

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის მაგისტრი	
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 კრედიტი	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, ფართო სამეცნიერო ჰორიზონტის მქონე ისტორიის სპეციალისტი.</p> <p>პროგრამა მოიცავს ორ სასპეციალიზაციო მოდულს: საქართველოს ისტორია და მსოფლიო ისტორია (თურქეთის ისტორია).</p> <ul style="list-style-type: none"> • მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, ფართო სამეცნიერო ჰორიზონტის მქონე ისტორიის სპეციალისტი; • განუვითაროს ახალგაზრდებს საზოგადოებრივი პროცესების ღრმად წვდომის, მოვლენების ურთიერთდაკავშირების, მათი კრიტიკული შეფასების უნარი; • მისცეს სტუდენტებს სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად, ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილი სტანდარტების დასაძლევად; • ჩამოუყალიბოს სტუდენტებს სამეცნიერო ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი, როგორც პირველადი, ისე მეორადი, საინფორმაციო წყაროებიდან; • ჩამოუყალიბოს სტუდენტებს სამეცნიერო ბიბლიოგრაფიული, საარქივო, სამუზეუმო შინაარსის ტექსტების რედაქტირების და რეცენზირების, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი; • გამოუმუშავოს ახალგაზრდებს ისეთი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ დასაქმებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოებში, ტურიზმის, განათლების, სამუზეუმო, საარქივო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-საკონსულტაციო მოქმედების და სხვა სფეროებში; ასევე, სწავლა გააგრძელონ სადოქტორო პროგრამაზე; • შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ახალი სამეცნიერო იდეების შემუშავებისა და ორიგინალური კვლევები განახორციელების უნარი. 	
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპების თავისებურებების შესახებ, აგრეთვე შეუძლია თანამედროვეობისა და პერსპექტივების ანალიზი და გააზრება; <ul style="list-style-type: none"> • ფლობს წყაროების მოძიების ხერხებსა და მეთოდებს, მათი დამუშავების მეთოდოლოგიას და გამოყენებას მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, ფლობს ისტორიული დოკუმენტებისადმი კრიტიკული მიდგომის, მისი აღწერისა და დამუშავების მეთოდებს; 2. აქვს თანამედროვე პოლიტიკური ვითარების გაცნობიერების უნარი; აქვს ინგლისური ენის B1.2 დონის ცოდნა, რაც სპეციალური უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობის შესაძლებლობას აძლევს მაგისტრანტს.
	<p>უნარები</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შეუძლია სასწავლო კურსისათვის დამახასიათებელი და, ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრისას; 2. შეუძლია ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა, სწორად კომენტირება და გამოყენება სამეცნიერო ნაშრომის შექმნისას; 3. შეუძლია მიღებული წყაროთმცოდნეობითი ცოდნის საფუძველზე გარკვეული ისტორიული მოვლენების რეკონსტრუქცია, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებელი კვლევების განხორციელება.
	<p>დასკვნის უნარი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შეუძლია ისტორიული მასალის განზოგადების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება;

	<p>2. შეუძლია წერილობითი, დოკუმენტური, ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით, ისტორიოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;</p> <p>3. შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეუძლია შეიმუშაოს ახალი სამეცნიერო იდეები და განახორციელოს ორიგინალური კვლევები.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>1. შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურულად, თანმიმდებრულად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, აკადემიური და არაკადემიური აუდიტორიისათვის ქართულ და უცხოურ ენაზე;</p> <p>2. ფლობს კომპიუტერულ და ინტერნეტრესურსებს ისტორიული მონაცემების დამუშავებისას.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>1. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება ინფორმაციისა და დროის ეფექტური გამოყენების გზით;</p> <p>2. მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივი განახლება;</p> <p>შეუძლია შემდგომ საფეხურზე (დოქტურანტურა) სწავლის გაგრძელება.</p>
<p>კომპეტენციები ღირებულებები</p>	<p>1. აქვს ქართველი ერის ისტორიის, მისი წარსულის, კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედების პატივისცემა;</p> <p>2. აქვს სხვა ერების ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედების პატივისცემა და ამ ფასეულობების საზოგადოებაში დამკვიდრების უნარი;</p> <p>3. შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს მიერ დადგენილი პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მიხედვით.</p> <p>სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <p>ა) შუალედურ შეფასებებს (ყოველდღიური აქტიურობა, მიმდინარე რეიტინგული შეფასება და შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები);</p> <p>ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.</p> <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური და შემაჯამებელი (საგამოცდო) ტესტები, ზეპირი პრეზენტაციები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკის შეფასების მეთოდები, რომელიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p> <p>სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა;</p> <p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ასოც. პროფესორი ნანა ხახუთაიშვილი ტელ: 599 28 55 02</p> <p>ელ-ფოსტა: n.khakhutaishvili@bsu.edu.ge / nana_khakhutaishvili@yahoo.com</p> <p>პროფესორი, ემზარ მაკარაძე ტელ: 577 17 97 45 ელ-ფოსტა: emzar.makaradze@bsu.edu.ge / makaradze@hotmail.com</p>